წელიწადი 1-ლი გაზ. ფასი 3 შაური. ტელეფონი № 76. ხუთშაბათი ოქტომბრის 12—(25) 1917

# ჩვენი ქვეყანა

ბაზეთის ფასი:
თვიურათ . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . 3 შაური.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტი ღირს . . 2 მანი.
უკანასკნელ გვერდზე . . . 5 შაური.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა
უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ.
6 მ. 1 საათის შემდეგ 8 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 147 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 147

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციასთან.

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის ოზურგეთის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ქ. ოზურგეთში დაარსდა პარტიული ორგანიზაცია. წევრად ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება გერმანე გოგიტიძესთან. მასთანვე შეიძლება პროგრამის და პარტიულ ლიტერატურის მიღება.

## ქართველთა სამხედრო კავშირი

(ქუთაისის განყოფილება).

ამით აცხადებს, რომ კავშირში წევრად ჩაწერა შეუძლია ყველა ქართველ მხედარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხედრო ექიმებს და სამხედრო მოხელეებს). არა სამხედრო პირთ შეუძლიათ დამხმარე წევრად ჩაწერა. კავშირი უპარტიოა. კავშირს აქვს თავისი სამკითხველო, სადაც სწარმოებს წევრად ჩაწერა და შეწირულება მიიღება დილის 8—2 და საღამოს 5—9 საათამდის.

**მისამართი: ქუთაისი, ვორონცოვის ქუჩა, ქართველთა სამხედრო კავშირი:**

## განცხადება

### ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის

საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა ამა წლის 30 ეკენისთვის სხდომაზედ დაადგინა:

1). გადიდებული იქმნეს მტკიცე ფასები გამხმარ ხილზე საერთოდ 20 მანეთიდან 25 მანეთამდე.

2.) გადიდებული იქმნეს მტკიცე ფასები ლობიოზე 10 მანეთიდან 15 მანეთამდე შემდეგ ნაირად

ა.). წვრილი ლობიო,, ძაძა“ სხვა და სხვა არეული და ძველი მოსავლის 12 მანეთი

ბ.) ადგილობრივი „წითელი“ და“ თეთრი ლობიო 14

ვ.) ჭრელი მსხვილი ლობიო „ჩიტის კვერცხა “15

ვ.) გაუქმებული იქმნეს მტკიცე ფასები ტყემლის ტყლაპზე, და ნება დართული იქმნეს თავისუფალი ვაჭრობა ტყლაპზე

დადგენილება ეს შედის ძალაში დღიდან გამოცხადებისა,

ზემოხსენებული დადგენილების დამრღვევი იქმნება პასუხის გებაში მიცემული 29 მუხ. სისხლის სამართ. წესდ. დროებ. მთავარ.

თავჯდომარე კომიტეტის ა. ჯაფარიძე.

განქარფილების საქმის მწარმოებელი მ. სეერსპუტოვსკი.

## ქუთაისის სადგილ-მამულო სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა

საყურადღებოდ აცხადებს, რომ საქმის წარმოება როგორც ცენტრალურ ისე ფილიალურ განყოფილებაში ქართულად წარმოებს, ამიტომ ყოველივე წერილობითი განცხადება, თხოვნა და სხვა, რომელიც კერძო პირთ შემოაქვთ, ქართულად უნდა იწერებოდეს, გამონაკლისი ხდება მხოლოდ რუსთათვის, რომელთაც ქართულად წერა არ იციან. ამგვარათვე ყველა დაწესებულებას გამგეობასთან მიწერ-მოწერა ქართულად უნდა ექნეს.

## ძმ. ქურდღელაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

ესარის მივიღეთ ბორჯომის წყალი დიდი და პატარა ბოთლები, ფასები ზომიერია.

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე. იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს
ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

ექიმი
გ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 6—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

ექიმი შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

## დაიკარგა

5 მაისს 1917 წ. მე-60 მუხ. ძალ. მოცემული სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლების მოწმობა. მპოვნელს ვთხოვ მოიტანოს გაზ- „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში ან წყალგალმა უბ. კომისარიატში.

**დავით ალექსანდრეს ძე ლორთქიფანიძე.**

## რუსეთი დღეს.

მენშიკოვმა ერთხელ სთქვა: ,,ისეთი მწარე დრო დადგება, აირევება ქვეყნის საქმეები, დაავადდება ყველაფერი და რეცეპტის გამოწერა არავის არ შეეძლებაო. როდესაც ვაკვირდებით რუსეთის ახლანდელ მდგომარეობას, მენშიკოვის სიტყვები გვაგონდება. უდიდესი და ძლიერათ წოდებული სახელმწიფო დაირღვა და დაიშალა. რუსეთის ინტელიგენტის და მოწინავე საზოგადოების მომეტებული ნაწილი დასტირის ამ საშინელ ხვედრს და სახელმწიფოს გადასარჩენ გზას ეძებს. მეუმცირესე სოციალ დემოკრატები, ესერები და კადეტები რუსეთის დაღუპვისაგან დასახსნელად მმართველობის კოალიციას აღიარებენ. რა თქმა უნდა საერთო თანამშრომლობა კრიტიკულ დღეებში დიდი იმედია მაგრამ ყურადღება უნდა მიექცეს მეორე გარემოებას. კოალიცია მთავრობაში, იქ სოციალისტის და არა სოციალისტის ერთად დაჯდომა სრულიად არ შობს კოალიციას ხალხში. კოალიცია ზევიდან არ აერთებს, არ აკავშირებს ხალხს. ამის შესახებ გაზ. ,,უტრო როს‘‘ სწერს: თვითონ რუსის ხალხში არ არის ერთობის სული კოალიციისთვის საფუძველი. ხალხი ურთიერთს გადაეკიდა, და არ გრძნობს თავის თავს ერთ სამშობლოს შვილად ერთ მიზნისთვის მოწოდებულად.“ ჩვენ არვიცით, როგორი ერთობა სურდა გაზ. ,,უტრო როს.‘‘-ს. არა რუს ეროვნებებს კვლავ მუხრუჭში ყოლით კოალიციის განმტკიცება უაზრობა იქნებოდა და, შეუძლებელიც. შეიძლება გაზეთი ნამდვილ რუსის ხალხის გულცივობას და უპატრიოტობას გამოსთქვამს. ეს სხვაა. აღსანიშნავია, რომ რევოლუციაში რუსის ხალხი ოდნავადაც არ არის ეროვნულ გრძნობით აღჭურვილი. როდესაც სარატოვის გუბერნიაში მემბოხე და მრბეველ გლეხობას, კომისრმა უთხრა, ეს სამშობლოს ზიანს მოუტანსო, გლეხებმა უპასუხეს: ,,ჩვენ მეფე ჩამოვაგდეთ, სამშობლოს გულისათვის კი არა, ჩვენი ინტერესების გასაუმჯობესებლადო. რუსეთის ედება ანარქია და ამ დროს განსაცვიფრებელ ველურობას აშკარავებენ. გლეხი თავის მეზობელ გლეხს უწვავს ნაშენ მამულს, ანადგურებს სკოლას და სხვა სახალხო დაწესებულებას. არა სოციალისტური გაზეთები კითხვას სვამენ: ვინ წარუძღვება რევოლუციას? გლეხობა, რომელიც თავის თავს არ ინდობს? ქალაქის პროლეტარიატი, რომელიც ყველგან გაფიცვის ცეცხლს ანთებს, წარმოება შეაჩერა და თავის დიქტატურას მოითხოვს? არა რევოლუცია შავ სამარის წინაშე სდგასო, ამბობს გაზ. „ზემლია“. რა გააკეთეს, მეუმრავლესეებმა, როდესაც ისინი ცარიცინში, კრონშტადში მთავრობას დაეუფლენ? ქალაქის ხაზინა ერთ საათში გამოაჩანაგეს, სასურსათო კრიზისი უკიდურესათ გაამწვავეს და, როდესაც აღელვებული ბრბო მიადგა მათ მოთხოვნილებით, ისინი დაიბნენ და ახლა მეუმრავლესე ხმოსნები ქალაქის გამგეობიდან გაქცევას აპირებენო.—დასკვნის გაზეთი.

ასეთია დახასიათება რუსეთის ცხოვრებისა თვითონ რუსების მიერ. და ამ შთაბეჭდილებით რეალ მოსაზრების გაზეთები უნიადაგოთ, უსაფუძვლოთ სთვლიან კოალიციას.

კოალიციის მრწამსი ხალხში არ არისო. რუსეთს სჭირია გაჯან საღება, ეროვნულად ამოძრავება საკუთარ შემოქმედებით თორემ ქ რთველ წერეთლის თავგანწირული ძახილი კოალიციისკენ ყოველთვის ვერუ-შველის მას.

რაც შეეხება არა, მპყრობელ ერებს, ყველას უნდა მოენიჭოთ თავისუფალი ცხოვრება და მოეხსნათ მათ რუსული კონტროლი. დეცენტრალიზაცია იხსნის რუსეთს. რომი გაანადგურა ცენტრალიზმა, მთელ დედამიწის ხალხისთვის მუხრუჭის მოჭერას, რომ ლამობდა.

რუსეთის, როგორც ერის ეროვნული გაჯან საღება დაიწყებ მაშინ, როდესაც თავისუფლბა ყველასათვის სამართლიანათ იქნება განაწილებული და რუს ერს მარტო თავის თავის მზრუნველობა დასჭირდება.

დ.

## ქართული უნივერსიტეტი.

საქართველოს ცენტრში, თბილისში დიდ ეროვნულ დაწესებულებას ჩაეყარა საძირკველი.

ოქტომბრის 8-ს დასრულდა თბილისში ქართულ უნივერსიტეტის დამაარსებელთა საზოგადო ყრილობა. პირველ ქართულ უნივერსიტეტის გახსნა გადაწყვეტილია მომავალ წლის იანვრიდან.

უნივერსიტეტში მეცნიერების შესწავლა იწარმოებს ქართულ ენაზე. იანვრიდან იქნებ, შემდეგი შინაარსის ლექციები ისტორია ფილოლოგიაზე 2. ფიზიკა მათემატიკაზე და მედიცინაზე. უნივერსიტეტს სათავეში უდგას პროფ. ივ. ჯავახიშვილი უნივერსიტეტის მმართველობაში წევრათ არჩეულია სხვათაშორის აკაკი ჩხენკელი და ექთ. თაყაიშვილი. უნივერსიტეტის სამოსწავლო ნაწილს განაგებს ცალკე კოლეგია, რომელშიც უკვე არიან დასახელებული პროფ. ივ. ჯავახიშვილი, რაზმაძე და მელიქიშვილი.

ამიერიდან ქართველებს გვექნება ქართული უმაღლესი სასწავლებელი და ჩვენი თაობა საკუთარ ენაზე შეისწავლის მეცნიერებას, რაც მშობლიურ კულტურის ამაღლების და ავტორიტეტის მოპოების ფაქტორი იქნება. წინათ გამარუსებელ სასწავლებლებში აღზრდილი ქართული თაობა უმაღლეს სწავლას იღებდა უცხო უნივერსიტეტებში, რომელსაც საქართველოში სამოღვაწოთ ნიადაგი ვერ წარმოედგინა, თავის ხალხთან თარჯიმანი სჭირდებოდა და ამიტომ სამშობლოს გარე ეძიებდა არსებობის ლუკმა პურს.

დღეიდან ასეალარ იქნება ქართული პოლიტიკა ქართული ორიენტაცია ქართული მეცნიერება უნდა ასულდგმულებდეს აწ ქართველ მოზარდ თაობას. მომენტი საშუალებას გვაძლევს ქართული ცხოვრების სადავე საკუთარ ხელში დავიჭიროთ და უსამართლოთ წართმეული უფლებები აღვიდგინოთ.

საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის არსებობდა ორი უმაღლესი სასწავლებელი ვის არ გაუგონია იყალთოს აკადემია, მაგრამ „ბედი ქართლისა“ უკუღმართად გადასწყდა მე 19 საუკუნეში. ამ დროდან საქართველოს ეროვნული სახე ფეხქვეშ გაითელა ეროვნული კულტურა „ჟანდარმერიის“ საჯიჯგნი გახდა. ჩრდილოეთის ბრძანებელის საფარში მოქცეული მოღლილ მოქანცული საქართველო, გადაგვარების პროცესს მიეცა. ქართულ ოჯახებში შესუსტდა სამშობლო კულტურის პატივის ცემა და ბოლოს მას დევნაც დაუწყეს.

წინათ ქართველი ქალი ისე ვერ გათხოვდებოდა, თუ შოთას ვეფხის ტყაოსანი კარგათ არ ექნებოდა წაკითხული, დღეს ვეფხის ტყაოსნის კი არა, უბრალო წიგნის წაკითხვაც აღარ შეეძლოთ ქართველ ქალებს.

რაც იყო, ის ჩვენი ისტორიის სამგლოვიარო ფურცლებს ჩავაბროთ.

ახლა გადავშალოთ ახალი ფურცელი ქართულ ცხოვრების და შევუდგეთ ახალ ცხოვრებას. საქართველოს ბედი ჩვენ ხელთ არის. გამოურკვნულის ნებისყოფით დავიწყოთ ეროვნული აშენებლობა, დაე დიდმა **ილიამ** სამარეში გაიგოს, რომ **ჩვენი თავი უკვე ჩვენ გვეკუთვნის** და გაიხაროს წამებულმა მოძღვარმა.

ალტაცება სიხარულს თანამედროვე ცხოვრება ვერ იწვევს. ამ წამად ჩვენ გვჭირია გაორკეცებული შრომა, დიდი ცოდნის შეძენა, რომ თავისუფალ სამშობლოს მოუაროთ, მის ცხოვრებას წარუძღვეთ.

დიდ იმედს გვაძლევს ქართული უნივერსიტეტი. ნეტარება იმათ, რომელთაც წილათ ხვთათ პირველ ქართულ უნივერსიტეტის დაარსება.

ჩვენ გულითად სალამს უგზავნით.

ი. დიდიძე.

## საქონელი გაძვირდა?

ვის გინდა ჰკითხეთ დღეს ჩვენში, საქონელი ხომ არ გაძვირებულათქო, ყველას გაეცინება: რას ამბობ, კაცო, მანეთის მაგიერ 10 მ. 20 მ. ღებულებენო, გაძვირდა და მეტი არაო?—გიპასუხებენ. დიახ, ეგ მართალია, რომ დღეს მანეთის ადგილზე 10—20 მ. ვიხდით, მაგრამ ეს კი ბეჯითად უნდა ვიცოდეთ, რომ საქონელი სრულებითაც არ გაძვირებულა, უნდა ვიცოდეთ აუცილებლათ, თორემ ამ უცოდინარობას ბევრი საშინელი შედეგი მოჰყვა და კიდევ ბევრი უარესი მოჰყვება. გაიძახიან, ვაჭრებმა ამ საშინელი ომის დროს დრო იხელთეს, საქონელს მუდამ დღე ფასს უმატებენ, უსინდისოები, მყვლეფელები არიან, და მათზე ჯავრი უნდა ვიყაროთო.

ერთი ესეც მიბრძანეთ, სოფლებმა რომ ვაჭრებზე არა ნაკლებ გააძვირეს თავისი ნაწარმოები, მაშ მათზედაც ჯავრი უნდა ვიყაროთ; რკინის გზის მუშა რომ 20 მ. მაგიერ 100 მ. ღებულობს, ხომ იმაზედაც ჯავრი უნდა ვიყაროთ. თუ მივჰყვებით, ასე გამოვა, რომ ყველას წინაალმდეგ ჯავრი უნდა ვიყაროთ. ვინ უნდა იყაროს მერე ჯავრი? არავინ. აქ რაღაც გაუგებრობა არის და ამ გაუგებრობას, გაფანტვა უნდა, თორემ უბედურება მოსდევს მას. საქმე იმაშია, რომ საქონელი კი არ გაძვირდა, ფული გაიაფდა მეტის მეტათ, აი ის ქაღალდის ფული, ჩეჩქივით რომ უყრია დღეს ჯიბეში ბრუნდს და მართალს.

სწორეთ თუ გნებავსთ, იცოდეთ, ეგ ქაღალდის ფული ფული არ არის, ეგ მხოლოთ ბილეთია მისი, რომ მაგითი ხაზინიდან საჭიროების დროს ფულს გამოიტან ვერცხლისას ან ოქროსას ფული მხოლოთ ვერცხლის და ოქროსი ითვლება ფულათ, და თუ შენ იმ ბილეთით, რომელიც ჯიბეში გაქვს, ესეიგი ქაღალ-

დის ფულით, ნამდვილ ფულს ვერ მი-იღებ, მაშინ ბილეთი. რის მაქნისია? ეხ-ლა მიბრძანდით ჩვენ ხაზინაში, ბატონე-ბო, და მოითხოვეთ მაგ ბილეთებით ფუ-ლი. რას მიიღებთ? ვერაფერს. მაშ რა მნიშვნელობა აქვს მაგას, თქვენ რომ ფულს ეძახით? არაფერი ბევრი აი აქ არის დამარხული მისი მიზეზი, რასაც თქვენ საშინელი სიძვირეს ეძახით, და არა იმაში, რომ ვაჭრებს ხაზოგადოთ სვინდისი არ მოეპოვება. არ გეგონოთ მე იმის თქმა მინდოდეს, რომ ვაჭრები ყვე-ლანი ანგელოზები იყვენ. არა. ვაჭარი კაცია, და როგორც კაცს, ცუდი ზნეც ეჭირვება და კარგიც. ყოველ ადამიანთა წრეში მოიპოვება უზნეოსდა ფაქიზი ზნე-ობის კაცი, მხოლოთ ამ ზნეობას და უზნეობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს საქონლის ფასის აწევ-დაწევაში, ასე რომ ყოფილიყო, საქმე რომ ზნეობრივ მხარეში იყვეს, ომამდი რატომ არ აი-წია საქონლის ფასმა?

დავაკვირდეთ საქმეს კარგათ.

პოლიტიკურ ეკონომიაში ანბანურ ჭეშმარიტებათ არის მიჩნეული შემდეგი დებულება.

„თუ მაგალითათ იმისათვის, რომ მი-წიდან ამოვიღოთ ოთხი მისხალი ვერცხ-ლი საჭიროა ერთი დღის შრომა, და ერ-თი ქუდი რომ გავაკეთოთ, იმისთვისაც საჭიროა ერთი დღის შრომა, მაშინ ცხა-დია, რომ ქუდის ფასი უდრის ოთხი მისხალი ვერცხლის ფასს. ამ ოთხი მის-ხალი ვერცხლისგან აკეთებენ მანეთს და ამოზენ რომ ქუდი მანეთათ ღირსო. ამ ნაირათ ჩნდება ფული. ფული იგივეე საქონელია, როგორც ყოველივე სხვა საქონელი. იმის ღირებულება განისაზღ-ვრება იმ შრომით, რომელიც საჭიროა მის საშოვნელათ და გასაკეთებლათ.

რადგან ვერცხლი მკვიდრი ლითო-ნია, სხვა საქონელთან შედარებით მუდმივი ღირებულებისა, მას ხმარობენ სხვა საქონ-ლის ღირებულების საზომათ.

მაგრამ ვერცხლს მუდმივი ხმარებისაგან წონა აკლდება, ამიტომ მას ხაზინაში, სა-წყობებში ინახვენ და მის მაგიერ ბილე-თებს ბეჭდავენ, აი იმ ბილეთებს, ჩვენ რომ ქაღალდის ფულს ვეძახით.

ქაღალდის ფული ეს მოწმობაა, ბილე-თია და შედარებით ადვილი გასაკეთებე-ლია: დღეში ათას მანეთს მაინც დაბეჭ-დავ მაშინაზე, მაგრამ იმას ძალა მხოლოთ მანამ აქვს, სანამ მის მაგიერ ყოველთვის შეგვიძლიათ ნამდვილი ფული მიიღოთ ვერცხლის ან ოქროსი.

ეს ოქრო და ვერცხლი დღეს რუსეთი-დან გაზიდულია საზღვარ გარეთ საომარ მასალის შესაძენათ. იქ ხომ ქაღალდს არ აიღებენ. მხოლოდ საქმე ისე გახლავსთ, რომ თუ საზღვარ-გარეთ გაიგეს, რომე-ლომე სახელმწიფოს ხაზინაში ოქრო ვერ-ცხლი იმდენი აღარაა, რომ ქაღალდის ფულის მაგიერ გასცენო, იმ სახელმწი-ფოის ქაღალდის ფულს ღირებულება ეკარ-გება და იკარგება იმდენათ, რამდენათაც გაცლილია ხაზინა ოქრო-ვერცხლისაგან*). ეხლა წარმოიდგინეთ რამდენი დარჩებო-და ოქრო-ვერცხლი რუსეთის ხაზინაში; რუსეთი ხომ მრეწველობით ძლიერ ჩა-მორჩენილი ქვეყანაა და ყველაფერი უნ-და ეყიდა ომისთვის. საყიდელი ძალიან ბევრი, აუარებელი დასჭირდა და ამან ოქრო ვერცხლისაგან ხაზინა დასცალა; ამას, უეჭველია, ქაღალდის ფულის ღი-რებულების საშინელი დაცემა უნდა მო-ყოლოდა და მოჰყვა კიდეც.

ჩვენში კი გაიძახიან საქონელი გააძვი-რესო, იტაცებენ საქონელს ყაჩაღურათ, ხულიგნურათ, ანადგურებენ მას, სწვავენ სავაჭრო სახლებს, და სხვა; ბევრ ქალა-ქებში, მაგალ. როგორც ქუთაისში, სულ მოსპეს საქონელი და ამით მდგომარეობა გაცილებით უფრო გაამწვავეს, უკეთ რომ ვსთქვათ აუტანელი გახადეს, რადგან რაც უფრო ცოტაა საქონელი მოთხოვნილე-ბასთან შედარებით, მით უფრო ძვირია იგი.

ძარცვა-გლეჯით ვის დაეყარა*) ხეირი, ჩვენ რომ დაგვეყაროს.

გლეხი.

*) იხ. ბახის ეკონომიური მიმოხილვა გვ. 19.

## სხვა და სხვა.

**ყაზახთა რესპუბლიკა.**

დეპეშამდი მნიშვნელოვანი ფაქტი გა-დმოგვცა: ყუბანის ყაზახობას თავის რეს-პუბლიკა გამოუცხადებია.

თვით მპყრობელობა და ამ ჟამათ რუ-სეთის მთლიანობის შენარჩუნებისთვის მებრძოლნი დარწმუნებულნი იყვენ, რომ ყაზახობა რუსეთის სახელმწიფოებ-რიობის დამცველი ძალა არის, რომე-ლიც არას დროს არ უღალატებს ერ-თობას და არ გაიყრებაო.

მაგრამ დღეს ყაზახებმა უარჰყვეს შე-ბორკილი ცხოვრება და თავისუფალი გამგებლობა შექმნეს.

ამ რიგათ რუსეთს მოსწყდა უერთგუ-ლესი დასაყრდნობი ელემენტი. პეტრეს ქალაქში ამ მოვლენამ უნდა აგრძნობი-ნოს ყველას, რომ რუსეთის ერთობა, როდი იყო ბუნებრივი, რუსეთის ერთო-ბა აშენებული იყო შიშზე და დესპო-ტურ მუხრუჭზე.

დროა პეტრეს ქალაქში სინამდვილეს თვალში პირდაპირ შეხედონ და დარ-წმუნდენ, რომ ხვალ ყველა არა-მპყრო-ბელი ერი ყაზახთა გზას დაადგება, რო-მელი გზაც სრულიად საღია, რევო-ლუციისგან აღსარებული, და არავითა-რი უსამართლობა მას არ ახლავს.

განსაკუთრებულ ყურადღებით უნდა შევხვდეთ ქართველები ყაზახების ნაბიჯს. ყაზახთა რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ საგრძნობლათ ირყევა რუსეთის ბატონობა ასიურ სამფლობელოებში და კერძოთ ამიერ-კავკასიაში. ყაზახები რუსეთის თავისუფალ ერთა წევრათ აღიარებენ თავს.

თავისთავად ირღვევა ცენტრალიზმის იდეა. კავკასიის ერები შეუდგებიან თა-ვის მდგომარეობის გამორკვევას და ქარ-თველებიც ვალდებული ვართ წინდახე დულათ ფხიზლათ ვიყოთ, რომ ახლაც არ მოდუნდეს ქართულ დემოკრატიის ენერგია ცენტრალისტურ დოგმის გარ-შემო.

ქართველებმაც უნდა გამოვაცხადოთ საქართველოს ოვითგამგებლობა, რუსე-თის ერთაშორის სწორ უფლებიან წევ-რათ ჩავეწეროთ.

**საზავო ნაკაზები და ეროვნული კი-თხვა.**

რუსეთის საბჭოების ცენტრალი აღმა-სრულებელმა კომიტეტმა სკობელევს, რომელიც პარიზის კონფერენციაზე მი-დის ნაკაზი დაუმზადა.

ნაკაზში ვკითხულობთ, რუსეთი თა-ვისუფალი თვითგამორკვევას ანიჭებს პოლონეთს, ლიტვას და ლატვიას, სო-მხეთს უნდა მიეცეს ავტონომია... აი, დე-მოკრატიულ რუსეთის საზავო ნაკაზი. ნუ თუ რუსეთს პოლონეთის ან ლიტვა-ლატვიის მეტი ერი არ ჰყავს გასათავი-სუფლებელი?

მაგრამ პოლონეთ, ან ლიტვა-ლატვი-ას რათ სჭირია რუსეთის უფლება, რო-მელსაც ისინი კარგა ხანია რუსეთს არ ეკუთვნიან. რატომ არ არის ნაკაზში ხსენება ფინეთისა, უკრაინისა, ან კავკა-სიის ერებისა? თუ რუსეთის სოციალის-ტური დემოკრატია ფაქტიურათ ძველ გზას ადგია? ეპოტინებიან სომხეთს, მის თავისუფლებას სჭედენ, მხოლოთ ამ დროს თავის ქვეყანაში, ამდენი ერი მო-ნობაში რომ არის, მათი თავისუფლების მოსმენაც კი არ სურთ.

დღევანდელ გარდამავალ ხანისთვის ნაკლებ ღირებულებას წარმოადგენს ნა-კაზების მუხლები.

და შინაარსი. ამჟამათ სტიქიურათ მისცემია ყველაფერი გარდაქმნას. რუსე-თის ერები თვითონ იკვლევენ გზას, თვითონ საკუთარის თანხმობით იმკვი-დრებენ სამართლიან უფლებებს. ამის-თვის მაგალითს იძლევა ფინეთი, ესტო-ნეთი უკრაინა და ბოლოს თვით რუსე-თის უერთგულესი ყაზახობა. თავისთა-ვად ხდება პროცესი ერთა განთავისუფ-ლებისა. მიუხედავათ ამისა, მაინც სამწუ-ხაროა, რუსეთის დემოკრატიის „შეუ-ფერებელი დიპლომატობა და გზა ახვე-ულობა“.

სერ.

## რევოლუციის ამბები.

**პ. დ. ს.**

**დეპეშები.**

**მარინის სასახლე.**

**პეტროგრადი.** ღვინობისთვის 6. დრო-ებითმა მთავრობამ დაადგინა, რომ მარი-ნის სასახლე მის გიმგეობის ქვეშ გადავი-დეს.

**დონეცის სარაიონო კომისარი.**

**პეტროგრადი.** ღვინობისთვის 6. დო-ნეცის რაიონის მოსაწესრიგებლად, დრო-ებითი მთავრობის დადგენილებით, არს-დება დროებითი მთავრობის კომისრის თა-ნამდებობა.

**ვაჭრობა-მრეწველობის პალატა.**

**პეტროგრადი.** ღვინობისთვის 6. დრო-ებითმა მთავრობამ დაადგინა: დაარსდეს ვაჭრობა მრეწველობის პალატა. პალატა-ში შევლენ რუსეთის ვაჭრობა-მრეწველო-ბის ყველა დარგთა წარმომადგენლები.

**საეკლესიო ყრილობა**

**მოსკოვი.** ღვინობ. 7. სახელმწიფო სათათბიროს იმ წევრებს, რომელნიც სა-ეკლესიო ყრილობაზე, არიან გამგზავნი-ლნი, რომ ან კომ- დაავალა განაცხადონ ყრილობაზე, რომ სათათბიროს დათხოვ-ნის შემდეგ საკითხი ისმება შეუძლიათ თუ არა სათათბიროს წევრებს ყრილობის მუ-შაობაში მონაწილეობა მიიღონ. ყრილო-ბის თავმჯდომარემ მონაწილე მიტროპო-ლიტმა ტიხონმა განაცხადა, რომ ყრი-ლობა განიხილავს საკითხს, მანამდე კი ყრილობის მუშაობაში სათათბიროს წევრ-ნი მონაწილეობას განაგრძნობენ. ასე-თივე განცხადება შეიტანეს სახელმწიფო საბჭოს წევრებმა და ანალოგიური პასუხი მიიღეს.

**უწესოება რეველში.**

**პეტროგრადი.** ღვინობ. 7. რეველის ციხის უფროსი უარყოფს ხმებს, ვითომ რეველში ანარქია ყოფილიყოს გამეფე-ბული. მხოლოდ ღვინის სარდაფი გაანა-დგურესო.

**სროლა ნიკოლაევში**

**ნიკოლაევი.** ღვინობ. 7. სადგურზე ჯარის-კაცთა მატარებელი რომ დაიძრა მოულოდნელად ჰაერში სროლა დაიწყო. 2 კაცი დაიჭრა. ქარხნებს წითელი გვა-რდიელები იცავენ ქალაქში ყარაულები გააძლიერეს.

## რუსეთის რესპუბლიკის საბჭო

**დეპეშები**

**კერენსკის სიტყვა.**

(გაგრძელება)

**დროებითი მთავრობა.**

დროებით მთავრობამ როდესაც რუსე-თის რევოლუციურ ხალხისაგან მიიღო ძალა უფლება გამგებლობისა, თავის თავს მოვალედ სთვლიდა დაეცვა ყველა ძირი-თადი უფლება და სრული მოქალაქეობ-რივი თავისუფლება. არც ერთი სახელ-მწიფო დედამიწის ზურგზე ამ მხრივ არ შეედრება რუსეთის დროებით მთავრო-ბას, რომელმაც ყოველგვარი ზომები მი-იღო, რომ არავინ შეეზღუდა, ვისიმე თავ-მოყვარეობა არ შეეხალა თავისუფლებისა ერთობისა და ძმობის ნიადაგზე. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ თავისუფლება მართლა მიანიჭოთ ჩვენს სამშობლოს — რუსეთს, რომ მალე შეხვიდეთ დამშვი-დებელ კრების პრწყინვალე კარებში საჭიროა პასუხისმგებელ წრეთა და მომ-ქმედ პარტიების სრული ძალ-ღონის შე-

## საქართველოს საეკლესიო კრე-ბის ორატორები

(შთაბეჭდილება).

ისევ კრება. სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი. სიონის ტაძარი. დელეგატთა სჯაბაასი, მათი მოქმედება. ჩვენი მჭერ-მეტყველური ორატორები.

მე ისევ თფილისში ვარ... სულიერი ჩემი მდგომარეობა ჯერ ისევ ღრმა შთა-ბეჭდილებას განიცდის...

ჯერ კიდევ ვერ ომიხწევია თავი, ვერ განვშორებულვარ სიონის კედლებს.

ჩემი სული იქვე დაფრინავს, იქვე ტრი-ალეს, სტკბება დიადის სურათით, მა-ღალ გრძნობებით...

მინდა ყველაფერი დავივიწყო, მოვიშო-რო თავიდან, მაგრამ არა.

არ ძალ-მიძს, არ შემიძლია...

ზურგს ვერ ვაჩვენებ იმ საყვარელ პი-როვნებას, რომლის აჩრდილიც აი ახლაც, ამ წუთას, თვალის წინ აღმართულა, მაღ-ლობ ღღვილის დგას და თავმჯდომარის როლში თავის „კრებას“ გვაცნობებს!..

მშვენიერი გარეგნობა, ტკბილი დარბა-ისლური კილო ლაპარაკისა. აზომილ-და-ზომილი აზრი და სიტყვები, თბილი და წრფელი ქართველი გულის სიღრმიდან ამოძახებილი სიყვარული სამშობლოსად-მი, ამკობს და აცისკროვნებს ამ პიროვ-ნებას.

თავმჯდომარეობს დინჯათ, ნიჭიერათ და მოხერხებულათ. თვითეული მისი სი-ტყვა სავსეა სიყვარულით, სიხარულით, თბილი გულკეთილობის გრძნობით..

კრება მოხიბლულია. იგი თავმჯდომა-რის მონაა. კრებას მაშინაც კი მოსწონს თავმჯდომარე, როცა იგი წყრება, მრის-ხანებს, კრებას დახურვით იმუქრება. მისი წყრომა კრების ალერსია. მისი სი-ტყვა კრებისთვის თაფლია, მისი დამტკბო-ბი, დამამშვიდებელია.

— აი, ადამიანი! ძველებური ქართვე-ლური სიდინჯე, ნიჭი და მოქმედება!

გაისმის კრებაში.

ყველა ღრმა პატივისცემის გრძნობით აღჭურვილი უსმენს გ. ჟღენტს და კმა-ყოფილია...

გათავდა პირველი დღე... დაიქანცა ჩვე-ნი გიორგი...

მეორე დღეს მას თავმჯდომარეთ ვეღარ ვხედავთ.

ყველა დაეჭვინდით... ყველას გვეწ-ყინა.

ერთი-მეორეს ვეკითხებით:

— გიორგი არ იქნება დღეს?!

— მაშ ვინ იქნება?!

ვინ გაგვიწევს მის მაგიერობას?

ვინ გვიწინამძღვრებს დღეს?..

ველით პასუხს. კარებისაკენ ვიყურე-ბით!

უცებ ალაპარდება სიონის კედლები...

გაისმის ბერ-მონაზონთა მწყობრი გა-ლობა.

მობრძანდება თფილელი მიტროპოლი-ტი ლეონიდე.

კრებას ხსნის და ტრიფონ ჯაფარიძის პირით დღიურ პროგრამას გვაცნობებს...

ვჯდებით. ყველა თავ-თავის ადგილს იკავებს...

ერთი-მეორეს ვეჩურჩულებით:

— დღეს გიორგის მაგიერ, ალბათ, ტრიფონი იქნება!

— დიახ, ეტყობა!

ჯაფარიძე შუახნის კაცია.

უმაღლეს სღვთისმეტყველო განათლე-ბა მიღებული, ცოცხალი, მკვირცხლი მო-ლაპარაკე.

ბუნებრივი კილო ლაპარაკისა და ხალ-ხური ჟარგონი აძლიერებს მის ლაპარაკს.

იგი ტიპიური იმერელია, მისი ხშირათ ხმარებული სიტყვები:

— ბატონო, ბატონო! იმე! გვაცალეთ ბატონო! რავა შეიძლება და სხვანი, სრუ-ლი განაორციელება იმერული ზრდი-ლობისა, სიცოცხლისა და დიპლომატიურ მოქმედებისა.

იგი სავსეა ენერგიით, სიცოცხლით და მამულის სიყვარულით. თავმჯდომარეობს ცოცხლათ, პასუხს იძლევა მკვირცხლათ, მკაფიოთ და გარკვევით.

კითხვა-პასუხში ადვილათ ვერ იჭე-რენ.

ყველას შესაფერათ ექცევა. საკითხებს გარკვეულათ აყენებს და რეზოლუციებს მოხდენილად აღგენს...

მეორე დღეს ვერც ის უძლებს მძიმე შრომას.

ვეღარც მას ვხედავთ თავმჯდომარეთ. მის მაგიერობას სპ. კეიდია ეწევა.

ეს სულ ახალგაზდა ორატორია. უკვე ჩვენში კარგათ ცნობილი და გამოცდილი.

მას საზღვარ-გარეთ მიუღია განათ-ლება.

ლაპარაკში ხშირათ იხსენიებს იქაურს წესებს, ამბებს. ნიჭიერი მოლაპარაკეა.

ლაპარაკში ბუნებრივობა იმასაც ამშვე-ნებს.

იგი მეტს ყურადღებას შინაარს აქცევს, ვინემ ფორმას, გარეგნობას.

ლაპარაკი გაბედული და გავლენიანი იცის.

პრეზიდიუმს ორატორებს მხარში უდ-განან კრების ორატორებიც აქაც საიმე-დო სურათსა ვხედავთ.

კრებასაც ამშვენებს საერო თუ სასუ-ლიერო ორატორები.

გვერდს გვიმშვენებენ ნიჭით სავსე, გო-ნებით განვითარებული, საქმისათვის საკ-მაოთ მომზადებულნი ახალგაზრდები...

ხშირათ ისმის კრებაში დეკ. ნ. თალა-კვაძის ხმა.

იგი კარგი მოლაპარაკეა.

მის ლაპარაკში მეტი ხელოვნება გამო-სჩანს.

მისი ფრაზეოლოგია წმინდა ლიტერა-ტურულია.

კილო კი არტისტული, მიხვრა-მოხვ-რა, სახის მეტყველება და დიქციაც აგ-რეთივე.

მეტი თავისუფლება, მეტი ბუნებრივო-ბა ლაპარაკში უფრო ძლიერ შთაბეჭდი-ლებას დატოვებდა.

დღეს კი, უმეტესათ, მისი სიტყვის გა-რეგნობა იპყრობს კრების ფსიხიკას.

მის სიტყვებში ყოველთვის საქმის ღრმა ცოდნაა გამოხვეული ცოცხალი კაცია. გურული. სიცოცხლით და ენერგიით სავსე ასეთივე მკვირცხლი მოლაპარაკეა ძმა მი-სი ერის კაცი. იგი სულ ახალგაზდაა. შინაარსიანი მოლაპარაკე

ბუნებრივი კილო ლაპარაკისა და მშვე-დი მსჯელობა საქმეზე აირკვევს მის ღირსებას.

მრავალ რიცხოვან კრებებზე, დიდ სა-ზოგადოებაში ყველას არ შეუძლია ლა-პარაკი.

ზოგს შეუძლია, მაგრამ მსჯელობის სა-განს ახლოს არ იცნობს.

ლაპარაკის მასალა არ აქვს, უშინაარსო სიტყვა კი მხოლოთ დროს მოპარვა არის, კრების გაცდენა-მოტყუილება.

ამგვარი სიტყვა ღირსეულობას კარგავს და ზიზღს იწვევს ორატორისადმი.

ზოგიც ლაპარაკობს მარტო ლაპარაკის პროცესისათვის.

მას მოსწონს მაღლობ ადგილიდგან სიტყვების სროლა, მაგრამ ხდება თუ არა ვისმეო მისი ვითომ და ღრმა აზრე-ბის ნატეხები ამას არ დაეძებს, ამისათვის იგი თავს არ იტეხს

არიან, მაგალითად, ასეთი ორატორე-ბიც.

იშვიათად გამოდიან სალაპარაკოთ.

ვერაფერი მათ ვერ აღელვებს; წყნა-რის და მშვიდის კილოთი გვესიაფებათ საგანზე.

მათი ტკბილი, სადა და უბრალო მუ-საიფი გაპყრობსთ, გხიბლავსთ თავისი შინაარსით, საქმიანობით.

აქ ფრაზებს, ლამაზ სიტყვებს ადგილი არ აქვს.

ისინი ნამდვილი ბატონებია თავიანთი აზრის, სიტყვის და მოქმედების.

მოჭრილი სიტყვებით მოკლეთ და მკა-ფიოთ გამოთქმულ აზრებით ღრმ შთაბე-ჭდილებას ახდენენ, კრების ყურადღებას იპყრობენ.

ასეთები არიან დეკ. ცინცაძე, კეკელი-ძე და ს. გორგაძე. ეს სამივე საქმის მცო-დნეა. განათლებულნი, მორწმუნე და ღრმა მოყვარული თვის სამშობლოისა.

მათი თვითეული გამოსვლა საქმეზე გე-ლაპარაკება. საკითხის შინაარსი აინტერე-სებს, მეტს ყურადღებას მას აქცევს. თავზე ევლება.

ფრაზეოლოგია მათთვის არ არსებობს.

ეფექტებისათვის მათ არ სცალია.

საქმის ცოდნაში და სიყვარულში ერ-თმანეთს ეჯიბრებიან. ნამდვილი ინტელი-გენტებია გარეგნობათ, საქციელით და მოქმედებით.

სხვისი ღირსების და პიროვნების პა-ტივსცემელნი არიან, მაგრამ თავის აზრს, ღირსებას და ცოდნასაც ადვილით არ გა-გათელინებენ.

მამულის სიყვარულის საქმეში გვერდში გიდგიან, შენთან ერთათ გზათ არიან იკ-ვნესიან და იხარიან კიდეც, მაგრამ შენგა ნაც ამ გვარ გულწრფელ გრძნობას მოი-თხოვენ. მოითხოვენ და მედგარ ბრძო-ლის ჟინარსაც კი იჩენენ თუ დასჭირდათ.

თუ კი სამშობლო ამ საქმისათვის მათ მოუწოდებს; დიახ! ეს და ამის მსგავსი კიდევ ბევრი სურათი ჩემს თვალწინ იშ-ლებოდა.

მათის ცქერით, სილამაზით და სიდია-დით ვსტკბებოდი, ვიკვებებოდი რამოდე-ნიმე დღე.

იმედებით იყო ავსილი ჩემი ოცნება გონება და მეხსიერება. სიამოვნებით იყო გული მაძღარი.

გული, რომელსაც დღემდის ამ გვარი გრძნობების ფარულათ ტარებაც კი აკ-რძალული ჰქონდა.

გული, რომელსაც მშობლიური სიყვა-რულისთვის და სიხარულისთვის კარები მუდამ ჩაკეტილი უნდა ჰქონოდა და სი-ცოცხლის ნიშნები, ეროვნული ძარღვის ცემა კი დადუმებული და წიხლ დაკრუ-ლი, მივიწყებული.

ვიდექ და ვერ ვძღებოდი ნეტარებით.

იმედით სავსე ფიქრები გარს მეხვიენ და მხნეთ, ვაჟ-კაცურათ ჩამომძახოდენ:

აღსდექ, გმირთ გმირო ნუ გძინავთ!

მტერთა ხმანი აღარ ისმიან.

თუ ას ჩვიდმეტი წლის სიდუხჭირემ ვერ გაგვტეხა, ვერ გაგვაქარწყლა.

დღეს თავისუფლება ვაჟ-კაცობას გა-გვიასკეცებს. თუ დღემდის შეგვრჩა ნიჭი, ჭკუა და ქართველობა.

დღეს კიდევ უფრო მკაცდება ერის თვისება.

ნიჭს და გონებას ააყვავებს, გაავითა-რებს და ორატორსაც ბევრს გვაჩუქებს, გულს გაგვიხარებს!

თეოფ. ხუსკივაძე.

მოკრება. დროებითი მთავრობა უფლებას იტოვებს მოგმართოთ თქვენ არა თუ თხოვნით, არამედ ბრძანებით: ჩვენი ქვეყნის სახელით მოვითხოვთ, რომ მთელი თქვენი ძალ-ღონე მიმართული იყოს ქვეყნის მრღვეველ და დამღუპველ ძალთა დასათრგუნავად (ხმები: „ვაშა!“)

**ა ნ ა რ ქ ი ა**

აქ არ მსურს გადმოგცეთ სურათი იმ საშინელი ანარქიისა, რომელსაც ჩვენი ქვეყანა მოუცავს. ყოველ დღე დროებით მთავრობას და შინაგან საქმეთა მინისტრს ამბები მოსდის ისეთი სახისა, რომელთა დაჯერებაც კი ძნელია. ამ ტელეგრამით გადმოცემული ამბები შეადგენენ ყველაზე შავ-ბნელ, ყველაზე საზიზღარ სურათებს ძველი მთავრობის დროიდანა. ამავე დროს შრომის უნარი იკარგება, საზოგადო უნიათობა ჰკლავს სამეურნეო ცხოვრებას, ჩვენ უკვე ეკონომიურ და ფინანსიურ საშინელ კრიზისების წინაშე ვდგევართ. ახლო მომავალში აღარ გვექნება საცხოვრებ მასალა, აღარც სურსათი. ფრონტიც უპატრონოდ გვრჩება. თუმცა მთელი ძალ-ღონე აქეთ უნდა იყოს მიმართული, რომ მშიერ-მწყურვალი და შიშველ-ტიტველი არ დავტოვოთ ჩვენი მებრძოლნი. რაც კი რამ შესაძლებელი იყო, ყველა ზომა იქმნა მიღებული. მაგრამ ზომები ტყვილიაუბრალოდ იმსხვრეოდა საზოგადო აპატიისა და უმოქმედობის რკინის გრდემლზე. ჩვენ გვწამს, რომ რუსეთის რესპუბლიკის საბჭო შესძლებს გავლენა იქონიოს ფართო საზოგადოებრივ გავლენაზე, რათა ალადგინოს მოდუნებული მაჯისცემა და მით შეგვაძლებინოს სამეურნეო და საეკონომიო ცხოვრების განახლება. ამან უნდა შექმნას ელემენტარული წესიერება. რათა უზრუნველი შეიქმნეს თვითეულ მოქალაქის ცხოვრება, რა პარტიასაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი. როდესაც ამ მიზნებს მივაღწევთ, მაშინ შევძლებთ უდიდეს მიზნის მიღწევას: მტრის დამარცხებას! არმიის სახელით ვაცხადებ, რომ დღეს მთელი რუსეთის მხედრობა მოელის შინ წესიერების დამყარებას, რაც შეეხება მას, იგი პირნათლად შეასრულებს თვის მოვალეობას. (ტაში ცენტრში და ზოგიერთ ადგილებში). აქ არ შემიძლიან არ შევჩერდე სასურსათო საკითხზე.

**სასურსათო საკითხი.**

იმედი მაქვს, რომ გლეხობის წარმომადგენელნი, რომელნიც აქ არიან, შესძლებენ ჯარს სრული დახმარება აღმოუჩინონ. ჯარის მდგომარეობას უსურსათობა მ...ლის და ფრონტების დამშევის მოსალოდნელი შედეგები თანდათან უფრო აშკარავდება.

**მისალმება.**

ნება მომეცით დროებითი მთავრობის სახელით ერთხელ კიდევ მოგესალმოთ. დროებითი მთავრობა 7 თვეს დიდის ბრძოლით იცავდა სამშობლოს და რევოლუციას. მოსალოდნელ გაჭირვებაზე არაფერს ვიტყვი, მაგრამ დარწმუნებულნი უნდა იყვნეთ, რომ დღევანდლამდე დროებით მთავრობას სამშობლოს ბედნიერების მეტი არა სდომებია რა; ამასთანავე მთავრობა ჯერ კიდევ აპრილიდან მოყოლებული ყველაზე მეტს სცდილობდა დაემყარებინა კავშირი მასა და ხალხს შორის თუნდაც ასეთი უსრული სახის, მაგრამ მაინც, ხალხის წარმომადგენლობით; და სრულებით არ არის ჩვენი ბრალი, თუ ეს დაგვიანდა. ჩვენ ამას ვსცდილობდით და ამავე დროს კი ხალხში შესაძლებელია უსაფუძვლოდ სძრახავდნენ ჩვენს მოქმედებას. აქ კი, ამ საბჭოში, დამფუძნებელ კრების წინამორბედზე დიდის სიხარულით მოგვაქვს ჩვენი 7 თვის ნაშრომი. ჩვენ დიდის სიამოვნებით მოგცემთ მას საკამათოდ და მადლობით მოვისმენთ ნამდვილ შენიშვნებს. მხოლოდ ერთსა გთხოვთ—ყველაფერი გაიღოთ სახელმწიფოს ბედნიერებისათვის და ყველაფერი დაივიწყოთ სამშობლოს თავისუფლებისათვის, ეცადნეთ რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის ამ საშიშ ჟამს არ დაივიწყოთ, რომ ჩვენ ძმები ვართ და ურთმანეთოდ უსწორო ბრძოლაში ვერ გავალთ იმ ნათელ გზაზე, რომელზედაც რუსეთის რამდენიმე შთამომავლობა ოცნებობდა. (ტაში ცენტრში, მარჯვნივ და რამდენიმე ადგას მარცხნივაც. ხმები: „ვაშა“). ჩვენ, დროებით მთავრობა, რომლის ხელშიაც სრული ძალა-უფლება არის, მხოლოდ თქვენი მსახურნი ვართ, გახსოვთ გვეთხრათ ჩვენ სიმართლე, მხოლოდ ნამდვილი სიმართლე პატიოსნების სახელით და სინიდისის ქვეშ. (მქუხარე ხანგრძლივი ტაში).

**პრეშკო ბრეშკოვსკაიას სიტყვა**

ბრეშკო-ბრეშკოვსკაია აღნიშნავს რომ გლეხობა დიდი ხანია ოცნებობს თავის უფლებებზე. გლეხს სწამს, რომ მხოლოდ მას აქვს უფლება მიწის კუთვნილობაზე. ამ მისწრაფებასთან ბრძოლა უაზრობა იქნებოდა და სახელმწიფოს ტანჯვას გააძლიერებდა. ეს მისწრაფება ისტორიული ხასიათის მიმდინარეობაა, რომელიც თვით ხალხის ფსიხოლოგიას აქვს შეთვისებული და ღრმა ეკონომიური მოთხოვნილებაა. რუსეთის გლეხობას თავისუფლება ვერ წარმოუდგენია ისე, რომ მას მიწა არ მიეცეს. ამ ისტორიული საჭიროების, რუსის ხალხისათვის მიწის მოთხოვნილების რაიმე პალიატივებით დაკმაყოფილება ყოვლად შეუძლებელია. ეხლანდელი უწესოებანი და ანარქიული გამოსვლები სწორედ 2 ჯგუფის ინტერესების კოლიზიით არის გამოწვეული აგრარულ ნიადაგზე. თუ რესპუბლიკის საბჭოს მართლა უნდა, რომ რუსეთი ბედკრულ მდგომარეობიდან გამოვიდეს, ისტორიის მოთხოვნილების თანახმად უნდა გადასწყვიტოს ეს საკითხი. (ხანგრძლივი ტაში).

**ავქსენტიევის სიტყვა**

ცუდ დროს იკრიბება რესპუბლიკის საბჭო. მე-4 ე წელია, რაც კაცობრიობას და რუსეთის ომის მაჯლაჯუნა სტანჯავს. მტერი წინ მოიწევს და ემუქრება დედაქალაქს, სამშობლოს მთლიანობას, მის თავისუფლებას და რევოლუციისა და რესპუბლიკის მიერ მოპოებულ უფლებებს. სახელმწიფოს გადაარჩენს მხოლოდ ხალხის დიადი ენტუზიაზმი, ფილადისებური ნებისყოფა და მთელი ძალ-ღონის ამოძრავება, თავისუფალ რუსეთის მისწრაფებათა სისპეტაკის შეგნება. მე-2-ე დიდი რევოლუცია საფრანგეთისა ამავე მდგომარეობაში იყო, მაგრამ მან არამც თუ მარტო წარმოსთქვა სიტყვები: „სამშობლო განსაცდელშია“, არამედ მთელი თავისი არსებით გაიმსჭვალა მით და ტანჯვაში შეიგნო მისი აზრი. მან შესძლო და ყველას მოუწოდა ბრძოლისაკენ, პასუხსაგებ საქმისაკენ და გამარჯვებულიც დარჩა. მე მრწამს, რომ ის დიადი და ახალი, რომელიც რევოლიუციონურ რუსეთს კაცობრიობისათვის მოაქვს, ისევე აღანთებს მის შვილებს, როგორც საფრანგეთის მოქალაქენი—მაშინდელმა რევოლუციამ. (ტაში).

**რუსეთის რევოლუცია**

რუსეთის რევოლუციამ პირველ დღეებიდანვე სქვეყნოდ გამოაცხადა თავისი მისწრაფება ზავისკენ და დღეიდან მთავრობას ზავისკენ მოუწოდებდა. დარწმუნებული ვარ, რომ რესპუბლიკის საბჭოც მუშაობის დაწყებისას პირველ მიზნად ზავის დაჩქარებას დაისახავს ეროვნებათა თვით გამორკვევის უფლების აღიარებით. ამასთანვე თავისუფალი რუსეთი არც ერთი წამით არ შესწყვეტს ქვეყნის დაცვისთვის ზრუნავს. (ტაში).

**სამშობლოს დაცვა**

მოქალაქენო, სამშობლო იღუპება და ეხლა, როდესაც ერთი აზრი გვიტაცებს თავდაეიწყებით, აზრი მისი დაცვისა, ჩვენში გარჩევა არ უნდა იყოს. ეხლა უნდა დავამტკიცოთ, რომ შეგვიძლია მსხვერპლის გაღება ჩვენ და ერთი მისწრაფებით გტაცებულნი ვართ (ტაში). მოქალაქენო, სამშობლო მოგიწოდებთ მის დასაცველად და არცერთს აქ მყოფს არ შეუძლია, ვერ გაჰბედავს და არც ისურვებს ოდნავ მაინც დაიშუროს თავისი ძილა ამ საქმისთვის, წინაღმდეგ შემთხვევაში ეს იქნებოდა საკუთარი თავისუფალ არსებობის უარყოფა, თვით თავისუფლების დიადი მნიშვნელობის უარყოფა, ნიშნავდა რუსეთის რევოლუციის საქმის დანგრევას და სიბნელისა და რეაქციის ბატონობას (ტაში). ჩვენი პირველი ლოზუნგი უნდა იყოს: მთელი ძალღონე სამშობლოს თავისუფლების დაცვას, თავ დაცვას და ბრძოლას რევოლუციის გამარჯვებისათვის (ტაში). როდესაც ჩვენ აქ ვბჭობთ, ბალტიის ზღვაზე ჩვენი ფლოტი მამაცად ებრძვის უძლიერესს მტერს, ჩვენი აზრი, გონება, პატივცემა და ლოცვა-კურთხევა მათდამი უნდა იყოს (მქუხარე, განუწყვეტელი ტაში) და რაც მთავარია: საჭიროა ჩვენ მათთვის მუდამ ჟამს ვზრუნავდეთ და აქტიური დახმარება გაუწიოთ მათ. მთელი ძალღონე უნდა მოვახმაროთ აქტიურ მუშაობისათვის და შიგნით სახელმწიფოს მოსაწყობად. ჩვენთან არიან ჩვენი მოკავშირენი, რომელნიც ჩვენ შევესისხლხორცდნენ ხალხთათვის საპატიო ზავის რაც შეიძლება მოკლე ხანში ჩამოსაგდებათ (მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ოვაციებს უმართავენ).

**შინაგანი მდგომარეობა**

სახელმწიფოს შინა-მდგომარეობა არანაკლებ სახიფათოა სამშობლოს თავისუფლებისა და რევოლუციის მოპოებათათვის. მეურნეობაში რღვევა, მიმოსვლის მოუწესრიგებლობა, ფინანსიური სივიწროვე და სურსათის ნაკლებობა ყველა ეს ძირს უთხრის თავისუფალ ქვეყნის არსებობას, უკმაყოფილებას ჰბადებს, ფრონტის მთლიანობას არღვევს და ანარქიას აძლიერებს. რესპუბლიკის საბჭომ სახელმწიფოს ამ მდგომარეობიდან გამოსაყვანად დროებით მთავრობას უნდა შეუერთოს თავისი ძალღონე. ეხლა საჭიროა ორგანიულ აღმშენებლობითი ხასიათის მუშაობა, ისეთი საჩქარო საკანონმდებლო აქტების განხორციელება, რომელიც სამეურნეო-ეკონომიურ ცხოვრებაში წესიერებას შეიტანდა. რუსეთის ახალი ცხოვრების პირობები ახალ ღონისძიებებს ითხოვს (ტაში)

დროებითი მთავრობა სულ იმის ცდაში იყო, რომ ამ გზით ევლო. ეხლა რესპუბლიკის საბჭოს ვალია მისი მოქმედება მიზნის მისაღწევად გააძლიეროს, განავითაროს და ძალა შეჰმატოს, ახალი საშვალებანი მისცეს რუსეთის სახელმწიფოებრიობას.

მოქალაქენო! ყველა ის, რაც აქ ითქვა, ახალი არ არის და ეს უბედურება სამშობლოსი სისხლის ასოებით არის აღბეჭდილი თქვენს გულზე, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ფაქტის აღნიშნისათანსაჭიროა რწმენა. (ტაში). რუსეთს ბევრჯერ, ძველი რეჟიმის დროსაც, როდესაც, მისი თავისუფლება შებორკილი იყო, სწვევია უბედურება, მაგრამ მუდამ უხსნია თავი.

ბევრი თქვენგანი დიდი ხნის განმავლობაში მოუთმენლად მოელოდა თავისუფლებას და ეწამა კიდეც მისთვის, მაგრამ 6 თვე გავიდა და თავისუფალ რუსეთის ცხოვრება ვერ იქნა და ვერ დავალაგეთ. ნუ თუ ამას შეუძლია ჩვენში რწმენა მოჰკლას?—არასდროს! მე ვგონებ, რომ ამ სიტყვით „არასდროს“ გამოვხატავ კრების ერთსულოვან გულისთქმას. (ტაში).

**რესპუბლიკის დროებითი საბჭო**

ახალი სახელმწიფო დაწესებულება, რომელსაც რუსეთის რესპუბლიკის დროებითი საბჭო დაარქვეს, მხოლოდ 2 თვე იირსებებს, რომლის შემდეგაც მოვა ნამდვილი პატრონი რუსეთისა მთელი ხალხის მიერ არჩეული დამფუძნებელი კრება. რესპუბლიკის საბჭო დროებით მთავრობასავით უნდა ეცადოს არავითარ შემთხვევაში არ გადაიდოს დამფუძნებელი კრება. ვადა მოკლე გვაქვს მუშაობისა, მით მეტი მხნეობა უნდა გამოვიჩინოთ. ორგანიზაციულ საზოგადოებრივობის ძალის წარმოვადგენთ, ხოლო დარაზმული საზოგადოებრივი ძალები ის საფუძველია, რომლის დაუხმარებლად შეუძლებელია ნაყოფიერი სახელმწიფო აღმშენებლობა, ხოლო უკანასკნელი ჩვენ უნდა გავანაყოფიეროთ. ნება მიბოძეთ გამოვთქვა ჩემი ღრმა რწმენა, რომ რუსეთის საზოგადოებრივობა შესძლებს ამ დანიშნულების შესრულებას. ნება მიბოძეთ გულის სიღრმიდან საბჭოს საპასუხსაგებო მუშაობას გამარჯვება ვუსურვო. ჩვენი კრებულის გახსნისას ნებამიბოძეთ მოგიწოდოთ დაიძახოთ ჩემთან ერთად: „გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს“ (ხანგრძლივი მქუხარე ტაში).

**პრეზიდიუმის არჩევნები**

თავმჯდომარის ამხანაგებად მირჩიეს პეშეხონოვი (222 თეთრი, 23 შავი), ნაბოკოვი (202 თეთრი, 43 შავი) კრიმოვი (201 თეთრი, 46 შავი), მდივნად—ვინნიაკი, მის უფროს ამხანაგად ჩაფრანოვი.

---

# ახალი ამბავი.

**ქ უ თ ა ი ს ი.**

**პირველი უსაჭიროესი საქონლის განაწილება.** ქუთაისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტის სურსათ-სანოვაგის და უსაჭიროესი საქონლის შემფასებელმა და გამანაწილებელმა კომისიამ დაადგინა: 1) მოახდინოს აღწერილობა ქალაქ ქუთაისში ყველა უსაჭიროეს საქონელზე გარდა იმ საქონლისა, რასაც მხოლოდ ფუფუნებისთვის ხმარობენ, 2) გამოუცხადოს ყველა ადგილობრივ ვაჭარს, რომ ქუთ. სა გუბერნიო სასურსათო კომიტეტში წარმოადგინონ სიები ყოველგვარ საქონლისა, რომელიც კი მათ სავაჭროებში აქვთ სიებში აღნიშნული უნდა იქნეს რაოდენობა საქონლისა, რა ფასათ უყიდიათ და რამდენათ ყიდიან. ეს სიები წარდგენილი უნდა იქნეს არა უგვიანეს 15 ოქტომბრისა.

3) აღწერილობის შემდეგ თვითეულ საქონელს უნდა დაესვას ბეჭედი გუბერნიის სასურსათო კომიტეტისა და აღენიშნოს, ფასი თუ რამდენათ უნდა გაიყიდოს. ყოველგვარი საქონელი გაიყიდება ბარათებით.

**ახალი როტის შედგენა.** ქუთაისის გარნიზონის დროებითმა უფროსმა პოლკოვნიკმა გროზინსკიმ ადგილობრივ პოლკების უფროსების საყურადღებოთ ბრძანება გამოსცა, რომ განსაკუთრებით ქართველებისაგან შეადგინონ ერთი როტა, რომელიც ქუთაისში წესიერებას დაიცავს. ეს როტა იქნება გუბერნიის კომისარის გრ. გიორგაძის განკარგულებაში, მხოლოდ დაემორჩილება გარნიზონის უფროსის ბრძანებასაც.

**სწავლის დაწყება.** სრულიად საქართველოს საკათალიკოსო უწყების ქუთაისის მესამე გიმნაზიაში (ყოფილი სასულიერო სასწავლებელი და სემინარია) მისაღები და გამოსაცდელი ეგზამენები უკვე დასრულდა. სწავლა ამ სასწავლებელში 16 ოქტომბრიდან დაიწყება.

**ბოროტება.** როგორც ვიცით ქუთაისში, შაქარს, სასურსათო კომიტეტი ბარათებით არიგებს. ამ ბარათებმა ერთნაირი გაუგებრობა შეიტანა. ვიღაც ბოროტ მოქმედებს გაუკეთებიათ ისეთივე ბეჭედი, როგორიც სასურსათო კომიტეტს აქვს, დაუბეჭდიათ ბარათეპიც იმ შრიფტით, რა შრიფტიდაც სასურსათო კომიტეტის ბარათებია, სწერენ ყალბ ბარათებს და ჰყიდიან შეუგნებელი მცხოვრებლებზე. ამით შაქარს ღებულობენ და გირვანქას 3 მანეთამდის ჰყიდიან იმ დროს როდესაც ზოგი მცხოვრები ოჯახში სახმარებლათაც ვერ შოულობს შაქარს.

**ქალაქის საბჭო.** დღეს, 12 ოქტომბერს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდება ქალაქის საბჭოს კრება. განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება ქალაქის გამგეობისა 300,000 მანეთის სესხათ აღების შესახებ სხვა და სხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლათ, 2) განხილვა ქალაქის (ნაკაზისა, 3) მოხსენება ქალაქის გამგეობისა ქალაქის თავდაცვის შესახებ, 4) მოხსენება მცხოვრებთა წყლით უზრუნველყოფის შესახებ და სხვა.

**ქალაქის სამკითხველოს შესახებ.** ქალაქის სამკითხველოში მოსიარულე მკითხველებმა რიცხვით 54 კაცმა ქალაქის თვითმართველობას წარუდგინა თხოვნა, სადაც მოითხოვენ სამკითხველოს გამგე პ. ლორიას ასული გადაყენებულ იქმნას თანამდებობიდან, რადგანაც იგი სამკითხველოს ვერ უძღვება წესისამებრ და თითქმის ყოველ დღე ხდება უსიამოვნებაო. ქალაქის გამგეობამ ეს საქმე გასარჩევათ ქალაქის საბიბლიოთეკო კომისიას გადასცა.

**მშობელთა წრე.** 11 ოქტომბერს წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში შესდგა ამ სასწავლებლის მოწაფეთა მშობლების კრება, მშობელთა წრის გამგეობის ასარჩევათ. გამგეობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ია-ეკალაძე-ცინცაძე, თავმჯდომარის ამხანაგებათ ეკ. ი. ნიკოლაძის ასული და ექიმი გ. ი. გოკიელი, მდივნათ პ. გ. წულუკიძე და მოლარეთ პ. ნიჟარაძე. მშობელთა წრე ამ დღეებში შეუდგება მოქმედებას და სასწავლებლის ცხოვრების მოწესრიგებას დროის და გარემოების მიხედვით.

**პაპიროსი ქუთაისისათვის.** სასურსათო სამინისტროს მთავარ რწმუნებული თბილისიდან ქუთ. გუბერნიის სასურსათო კომიტეტს ატყობინებს, რომ პაპიროსების განაწილების დროს ქუთაისის გუბერნიას თვიურათ შეხვდა 5 ნახევარი მილიონი პაპიროსი. ეს პაპიროსი რიცხვის და მიხედვით პროპორციალურათ უნდა განაწილდეს მთელ გუბერნიაში.

**დამფუძნებელი კრებისათვის.** დამფუძნებელი კრების მომწყობი ამიერ კავკასიის ცენტრალური კომიტეტი ატყობინებს ქუთ. გუბერნიის კომიტეტს, რომ ის ჯარის კაცები, რომელნიც არ არიან მიწერილნი ფრონტის საამომრჩევლო ერთეულებზე უნდა შეადგინონ ცალკე სია, რომელსაც არდგენს ესა თუ ის ოლქი თუ გუბერნია. თვითეული პოლკი ან თანაბარი ნაწილი მხედრობისა გამოცხადებული არის ცალკე საარჩევნო უბნათ. პატარა ნაწილების ერთმანეთს უერთდებიან. თვითეული პოლკი ირჩევს საარჩევნო კომისიას 7 კაცისაგან შემდგარს, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს სიების შედგენას და არჩევნებსაც. სიები შედგენილ უნდა იქნეს 20 ოქტომბრამდის. სიები არ გამოქვეყნდება. ამ სიებში შეაქვთ აგრეთვე ის პირები, რომელნიც საავათმყოფოებში იმყოფებიან. რომელნიც დასასვენებლათ თუ მოკლე ვადით არიან ჩამოსულნი თავის ნაწილებიდან. თვითეული პოლკის საარჩევნო კომისიამ უნდა იხელმძღვანელოს თანახმად ამ დადგენილებისა.

**საქმეების განაწილება.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა 1) საქმეების გაანაწილოს გამგეობის 4 წევრთა შორის, 2) გამგეობის სხდომები დაინიშნოს კვირაში სამჯერ: სამშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით, 3) თხოვნები მიიღებოდეს ყოველ დღე 9-დან 12 საათამდის 4) სამსახურში ყველა მოსამსახურეები გამოცხადდენ არა უგვიანეს დილის 9 საათისა.

**ყურძენი.** ქუთაისის ბაზარზე ფუთი ყურძენი გუშინ 7 მანეთად იყიდებოდა.

**პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.**

**ქ. ონი.** ონის სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე ლობჟანიძე ქუთაისის სავუბერნიო სასურსათო კომიტეტს შემდეგს ატყობინებს: ფართლეულზე ფასის აწევამ, სურსათის გამოლევის და ქუთაის დარბევის ამბებმა ქალაქის მცხოვრებლები აალელვა. გუშინ ძლივს დავაწყნარეთ ბრბო. მოსალოდნელია აქაც დარბევა, თუ დროზე არ მოგვაწოდეთ ფართლეულობა და სურსათი. ველოდებით პასუხს. ფული პირველ მოთხოვნილებისთანვე გადმოგზავნილ იქნება.

— **დ. ცაგერი.** ცაგერის პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებლის ინსპექტორათ არჩეულ და დამტკიცებულ იქმნა გიორგი ახვლედიანი, მასწავლებლად კი ჩიქოვანი.

— **ქ. ზესტაფონი.** ზესტაფონში უსურსათობის გამო მცხოვრებნი ღელავენ. როგორც ადგილობრივი სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე იტყობინება უპურობის გამო მცხოვრებნი აღშფოთებულნი არიან. სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე თხოულობს აუცილებლათ გამოგზავნოს პური და რამდენიმე ვაგონი სიმინდი წინააღმდეგ შემთხვევაში, სასურსათო კომიტეტის წევრებმა მოვალეობას თავს დავანებებთო.

---

# რუსული პრესა.

**მეუმრავლესეთა შესახებ.**

გაზ. „დენი“ მეუმრავლესეთი შესახებ სწერს: „მეუმრავლესობა“ ეს „ჭეშმარიტი“ რევოლუციონური მოძრაობაა. იგი ელვის სისწრაფით ვრცელდება და მუშათა მასაში საზარელ აპატიას იწვევს. ზევიდან დემაგოგების უმნიშვნელო წრე ეუფლება სამმართველო ფუნქციებს, ამ დროს უსირცხვილოთ ილანძღება, იგინება და კორიანტელს აყენებს. რაც შეეხება ხალხს, რომლის სახელითაც ეს ხდება თან და თან მხეცდება, აზართულ ბურუსში ეხვევა და აპატიაში ვარდება. ყოველ მხრიდან მოისმის, რომ მუშათა შორის გამეფდა ერთგვარი „მეშჩანური“ განურჩევლობა. მუშათა სხდომებს არვინ ესწრება, საწევრო გადასახადს არავინ იხდის, რაღაცა საშინელმა შეიპყრო მასა. ერთ ქარხანაში მუშა მამაკაცები აწამებენ მუშა დედაკაცებს, მეორე ქარხანაში დადგენილება გამოაქვთ, რომ ამიერიდან სასურსათო დუქნების წინ რიგში უნდა იდგენ პროლეტარიატის ნაწილი დედაკაცები და არა მამაკაცები.

მეუმრავლესეთა მღელვარე მაგარი სიტყვები გავლენას პოულობენ. ტროცკები და კამენევები ცისკენ მიარღვევენ ჰაერს სადაც სოციალისტურ წესწყობილები-

სთვის ყველაფერი მზათ არის, ძმანი მისნი კი უფრო პროზულ განცდაში არიან და მეშჩანურ თავდავიწყებას ეძლევიან. რადგანაც პეტრეს ქალაქში მეუმრავლესეთ გაიმარჯვეს საბჭოს ტახტზე ტროცკი წამოჯდა, მას მერე ვხედავთ ასეთ საშინელებას, წინათ მაგვარი არაფერი ყოფილა. ორჯელ დაუძახეს მუშათა საბჭოს კრებას და ვერც ერთჯერ ვერ შესდგა, რადგან წევრები არ მოვიდენ. რამდენიმე ხნის წინეთ კი საბჭოს მოზრდილ შენობაში დამსწრენი ვერ თავსდებოდენ ისე ბევრნი დადიოდა იმ ჟამათ. როგორც ზემოთ ვსთქვით მეუმრავლეენი არაჩვეულებრივათ მიდიან წინ. მათ ახლა მილიონი ხალხი მიჰყვება.

მაგრამ გასაკვირია, ასე დიდძალი ხალხი პოლიტიკურ ასპარეზზე სამოქმედოთ არსათ სჩანს. შეიძლება იქ არიან, სადაც ტაშკენტისებური■ ამბები ტრიალდება? შეიძლება ამჟამათ ისინი კრონშტადტში არიან, სადაც მეუმრავლესეთ იმ თავითვე ძლევამოსილების ძეგლი აღემართათ.

მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ მეუმრავლესეთა ზრდასთან ერთად ერთი მხრით ვრცელდება მასაში აპატია, მეორე მხრით საპოგრომო სტიქია და მესამე მხრით ანარქია.

ყველა ეს ფაქტები ორგანიულათ არიან ერთმანეთზე გადასკვნილი და ხშირათ არც კი შეიძლება იმის გარჩევა სად იწყება ერთი და სად თავდება მეორე.

მეუმრავლესენი მოწადინებული არიან მთელი ხალხი თავის რაზმში მოაქციონ და ამ დროს იმუქრებიან თავის ცნობილ გამოსვლილით, მთელ რუსეთს წალეკვას, რომ უქადიან. მაგრამ რატომ არ იციან საბრალოებმა, რომ ხალხი მათ ხელში კი არ არის, არამედ ბრმად ექვემდებარება უაზრობის სტიქიას, რომელი სტიქიაც დედა მიწის პირიდან აღგავს მეუმრავლესეთა მეთაურებსაც.

# ზავის გარშემო

## საფრანგეთის ომის მიზანი

**პარიზი.** ღვინობ. 9. მალვის საქმის გამო დელაგესადმი მიმართულ პასუხში პენლევემ სხვათა შორის სთქვა: „საფრანგეთის ომის მიზანი მხოლოდ მისი გათელილ უფლებების აღდგენა არისო“. მას ვერ შესცვლის ბრძოლის ველზე გამარჯვება და არც შეცვლილა მას შემდეგ, რაც დამარცხებულ საფრანგეთს ელზას ლორენი ჩამოართვეს და იგი პროტესტს აცხადებდა. ჩვენ უფლება გვაქვს მოვითხოვოთ მისი დაბრუნება და თუ მასზე ხელს ავიღებთ, მაშინ ჩვენ თავზეც უნდა ავიღოთ ხელიო.

### სპეციალური პირობები

ბელგეთის სრული ეკონომიური აღდგენა. კულტურული ავტონომია ფლანდრიის და ვალონიისა. ელზას-ლორენის საკითხის გადაწყვეტა პლებისციტის საშვალებით ზავის შემდეგ განსაზღვრულ დროზე. პოლიტიკური და ეკონომიური აღდგენა საერთაშორისო ფონდის საშვალებით დამოუკიდებელ და გაერთიანებულ მთაშავეთისა და სერბეთისა. სერბეთის, ბულგარეთის და საბერძნეთის სოლუნის ყურეზე თავისუფალ გზის სრული უფლება. აღმოსავლეთ მაკედონიის ბოლგარეთზე შეერთება ვარდარამდე. თავისუფალ დამოუკიდებელ პოლონეთის შექმნა. გარანტიები ეკონომიურ განვითარებისა და ავტონომიისა ებრაელთათვის და სხვა პატარა ეროვნებათათვის. ავსტრიის და გერმანეთის პოლონურ, ოლქებს მიენიჭოთ ავტონომია რამდენადაც კი შესაძლებელი იქნება. ტერიტორიალური ავტონომია რუსეთის ეროვნებებს, როგორც ფედერატიულ რესპუბლიკაში, იმ გარანტიის, რომ დაცული იქნება პატარა ეროვნებათა უფლებები. დამოუკიდებლობა რუსეთის რესპუბლიკასთან შეერთებულ ფინლიანდიისა. კულტურული ავტონომიის ავსტრიის იტალიანურ ოლქებისა, რომლებიც იტალეთს არ დაეთმობა. პოლიტიკური დამოუკიდებლობა და სწორუფლებიანობა ირლანდიისა დიდ ბრიტანეთის ჩარჩოებში. ჩრდილო შლეზვიგის საკითხის გადაწყვეტა დაინტერესებულ სახელმწიფოთა შეთანხმებით. დამოუკიდებლობა და ტერიტორიალური აღდგენა ოსმალურ სომხეთისა. ებრაელთა საკითხის საერთაშორისო გადაწყვეტა. ებრაელების პირადი ავტონომია რუსეთში, ავსტრიაში, რუმინეთში და პოლონეთში. დახმარება პალესტინის ებრაელებს კოლონიზაციაში.

### სადღესასწაულო განცხადება.

სადღესასწაულო განცხადება, რო მუდმივ ზავის ჩამოსაგდებად მოლაპარაკენი მზად არიან შექმნან საზოგადოება სამედიატორო სასამართლო ნიადაგზე იარაღის აყრით. სადღესასწაულო განცხადება, რომ მოლაპარაკენი უარს აცხადებენ ეკონომიურ ომზე და საგარეო პოლიტიკას უმორჩილებენ პარლამენტურ კავშირს.

დასასრულ მანიფესტი მოუწოდებს შეთანხმების სახელმწიფოთა სოციალისტებს, რომ მათ დაჟინებით მოითხოვონ პასპორტები ცენტრალ სახელმწიფო წარმომადგენელთათვის, დემოკრატიულ პარლამენტარულ რეჟიმის დამყარება და ომის მიზანთა განმარტება.

# სამეცნიერო-სამხედრო ექსპედიცია ოსმალეთის საქართველოში.

საქართველოს ის ნაწილი, რომელიც ოსმალთა სამფლობელოში იმყოფება, ჩვენთვის თითქმის სრულებით უცნობი მხარეა. მას შემდეგ, რაც ეს ნაწილი რუსეთის ჯარმა დაიპყრო, ქართველთა შორის დაიბადა სურვილი ამ ქვეყნის გაცნობისა და დაახლოვებისა. ე. თაყაიშვილისა და დ. შავარდნაძის მეთაურობით შესდგა განსაკუთრებული ჯგუფი, რომელშიც გარდა ზემოხსენებულ პირებისა შედიოდნენ არქიტექტორი კალგინი, მხატვარი და გეოგრაფი ზდანევიჩი და მხატვრები გუდიაშვილი და ქიაურელი. ექსპედიციას შეუერთდა ოსმალურ ენის კარგად მცოდნე, ვარძიის მონასტრის ბერმონაზონი იპოლიტე, რომელიც შემდეგ ხახულის დიდებულ, მაგრამ უპატრონოდ მიტოვებულ მონასტერში დაბინავდა მის მოსავლელად.

ექსპედიცია თბილისიდან გაემგზავრა 8 აგვისტოს. იგი აღჭურვილი იყო ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტისაგან შესაფერი ქაღალდებით, რომლის ძალითაც ექსპედიციას დიდი დახმარება ეძლეოდა სამგზავროდ არჩეულ ადგილებში სრულიად რუსეთის საერობო კავშირის დაწესებულებათაგან სურსათით, ცხენით, ავტომობილით და სხვა. ექსპედიციის მარშრუტი იყო: თბილისი, ყარსი, ოლთისი, ხახული.

ექსპედიციამ დაათვალიერა ხახულის სახელ განთქმული ტაძარი შესანიშნავის ნაშენობისა. ხახულშივე აღმოჩნდა მრავალი პატარა ეკლესია ქართულის წარწერებით. თორთუმში ნახეს დიდი, მაღალ კლდეზე აგებული ციხე, რომელიც სამ უღელტეხილ გადაჰყურებს. სოფ. ექ-ექში დარჩენილა გუმბათიანი პატარა ძველი ეკლესია ქართულ-ბერძნულის წარწერებით ომსკში (ოშვანაგი) ნახეს ყველაზე უფრო დიდი და მდიდარი ეკლესია, მრავალი ქანდაკებით შემკული, აქვე აღმოაჩინეს სასახლის ნანგრევები, რომელიც საერო არქიტექტურის დიდებულ მაგალითს წარმოადგენს. იშხანში ექსპედიციამ დაათვალიერა ძველი, თავისი მხატვრობით განთქმული ეკლესია მრავალ ისტორიულ წარწერით, რომელთაგან ერთი 916 წელს ეკუთვნის. მშვენიერათ შენახულა ამ ეკლესიის გუმბათის საუცხოო მხატვრობა. ეგევე ეკლესია განთქმულია არქიტექტურის მხრით,

იშხანში ექსპედიცია ორად გაიყო. უდიდესი ნაწილი ე. თაყაიშვილთან, ერთად თბილისს დაბრუნდა. დანარჩენი ადგილები ნახეს მხოლოდ დ. შავარდნაძემ და ი. ზდანევიჩმა.

ექსპედიციის ამ ნაწილმა დორტკილისაშინახა შესანიშნავი აგებულების ეკლესია ბაზილიკის ტიპისა. ეკლესიაზე მიშენებულია ვეებერთელა სატრაპეზო ბერებისთვის. იქვე ეზოში იმყოფება ქვითა და აგურით ნაშენი ორსართულიანი ეკლესია ბაზილიის ტიპისა—ლამაზი და მაგარი. ახლო-მახლო აღმოჩნდა კიდევ სამი-ოთხი პატარა ეკლესია. დორტკილისასა და პარხალს შორის თითქმის მიუდგომელ კლდეზე ნახეს პატარა ეკლესია, რომელშიც კარგად შენახულა წარწერები და მშვენიერი მხატვრობა. თვით პარხალში კი აღმოჩნდა ბაზილიკის ტიპის ეკლესია, თითქმის კოპიო დორტკილისიას ეკლესიისა, წარწერებითა და მხატვრობით.

პარხ-ლიდან ექსპედიციის წევრები ბურლუტლითა და ბათომით თბილისს დაბრუნდენ.

ექსპედიციამ ინახულა მრავალი ჩვენთვის უცნობი ნაშთი, გადაიღო ფოტოგრაფიული სურათები გადაიღო წარწერები და აიღო ნახულ ეკლესიებისა და საერო შენობების პლანები.

ყველგან, სადაც ექსპედიცია მოგზაურობდა, ცხოვრობს ძველი მესხების მოდგმის ხალხი, ამ ჟამად ოსმანიზმისაგან უკიდურესად დაზარალებული. ხალხს ახსოვს თავისი შთამომავლობა, მამადის სარწმუნოებას ატარებს, ქართული თითქმის დავიწყებული აქვს. მშობლიური ენა შენახულა მხოლოდ ოთხ სოფელში. ეს სოფლებია: გუდასხევი, ელიასხევი, ხევაკი და ქობაკი. ხალხის თქმით ყველა იქაური შესანიშნავი ნაშენი ერთი ქართველი ქალის აგებულია, ხოლო ქართულად მოლაპარაკე სოფლების აზრით ეს ქალი თამარ მეფეა (თამარ დედოფალისა. როგორც მას იქ უწოდებენ. თამარის მამად ნოშრევანს სთვლიან).

ექსპედიციის წევრები გადაარჩევენ შეგროვილ მასალებს და მოამზადებენ მოხსენებებს, რომელნიც წაკითხულ იქნებიან საქართველოს ეთნოგრაფიულ საზოგადოებაში და ქართველ მხატვართა საზოგადოებაში.

# ჭიათურის შავი ქვის „(მარგანეცის)“ საქმე.

როგორც გაზეთებიდან ვიცით 15-ს ამ თვეს მოხდება ქუთაისში კრება, შავიქვის მწარმოებელთა, რიცხვით მეცხრამეტე და ჩვენდა გულის გასატეხათ, დიდი ნაწილი შეგნებული და გავლენიანი საზოგადოებისა ყურადღებას არც კი აქცევს ამ დიდათ შესანიშნავს, საქართველოს დიდების და სიმდიდრის. წყაროს როგორიც არის ჭიათურის შავი ქვის მრეწველობა საქმის წესიერ ნიადაგზე დასაყენებლათ დღეს დიდი მზადებაა საჭირო. ეს მეცხრამეტე ყრილობა წარსულ ყრილობებს არ გავს. დღეს დიდი საქმეა. შესამუშავებელ შესაფერისათ დასაყენებელი.

დღეს ჩვენი საბჭო დაობლებულია, დამფუძნებელი და მეთაურები აღარ ჰყავს.

უმეტესი ნაწილი შავქვიან ადგილებისა სარეცხი ქარხნებით და გამართული საწოდებლებით („სპუსკებით“) და კერძო რკინის გზებით ერთხელ ჩვენგან კიდეც დაკარგული იყო, დღეს ბედმა გაგვიღიმა და მათი დაბრუნება ჩვენზეა დამოკიდებული. მაგრამ, თუ ვერ მოვიარეთ, ისევ ადვილათ ხელიდან წაგვივა.

ამაზე ჩვენთვის ხელსაყრელი პირობები მუშაობისა ჩვენ არ გვქონია. და თუ ჩვენ ამ ღვთისა და ბუნებისგან გალიაში ჩადებულ ქონებას ვერ მოუვლით, რა იმედი უნდა გვქონდეს გაუძღვეთ მომავალ უფრო რთულ და დიდ საქმეებს

ჩემის აზრით ყოველ ქართველის მოვალეობას შეადგენს არ დაზოგოს თავისი ენერგია და ცოდნა, იშრომოს და იმეცადინოს, რომ ამ საზოგადო დიად საქმეს დაეხმაროს თავის რჩევით და დაკვირვებით, რაც დღეს ამ საქმეს დიდათ სჭირია.

საჭიროა განსვენებული მ. ზდანოვიჩის მაგიერ, ავადმყოფ კიტას გვერდში ამოუყენოთ ისეთი კაცი, რომელმაც განსვენებული ზდანოვიჩისა და ავადმყოფი კიტას მოვალეობა მარტო ფორმალურათ კი არ შეასრულოს, არამედ უნდა აამოძრაოს გააცოცხლოს საქმე და დააყენოს იმ ნიადაგზე, რომ საქმე კი არ ძნელდებოდეს, არამედ რაც დრო გავა, იზრდებოდეს წარმოება.

ამისთანა კაცის გამონახვა კი მოითხოვს დიდს დაკვირვებას მიუდგომლობას. და თუ ჩვენ გაგებული და გამჭრიახე კაცი არ ჩაუყენეთ სათავეში ამ დიდ საქმეს, რასაკვირველია ძალიან ვავნებთ თვით საქმეს და წარმოების განვითარების მაგივრათ, ჩავკლავთ საბოლოოთ,

საჭიროა, შავი ქვის ადგილების ქარხნების საწოდებლებით (სპუსკების,) პლატფორმებით და რკინის გზებით-რომელიც აქამდის გერმანელების და სხვებს ეკუთნოდათ, და დღეს კი ჩამორთმეულია-შევისყიდოთ. უკვე ორი წელიწადია სულ მთავრობასთან არის ლაპარაკი. და ბევრს ალბათ ეხსოვება რამდენი გამოჩნდა გასყიდვის მსურველი-შინაური და გარეული, მომეტებულათ უცხო ტომები და რომ საქმე სხვანაირათ არშეფერხებულიყო, უთუოდ გამოგვტაცებენ ხელიდან. და რომ ეს არ მოხდეს საჭიროა; ისე მჭიდროთ ჩავკიდოთ ხელი-ქართველებმა, რომ ამ ჩვენ ოჯახში დაგროვილ ოქრო-ვერცხლს. სხვას ნუ გავატანთ, თორემ ამ ქონებასთან ერთათ ჩვენ სახლებსაც სხვები დაეპატრონებიან. და იმის მაგალითებიც ბევრი გვაქს, რომ ჩვენ „პრიკაშიკებათ“ მუშებათაც-არ მიგვიღებენ, და გადანაყარ, ნაცხრილავ შავქვასაც არ მიგვყიდიან;

შეიძლება ზოგს პატივცემულს, ამ წერილის წამკითხველს, შეუსრულებლად ეჩვენოს ჩამოთვლილ ქონების შეძენა, რადგან საზოგადოთ ქართველები ფულით ღარიბები ვართ. და ამას კი რამდენიმე მილიონი დასჭირდება. მაგრამ ეს ტყუილი შიშია.

ამ ორი წლის წინეთ, როცა განსვენებული გ. ზდანოვიჩი პეტროგრადიდან ჩამოვიდა იმ საღამოსვე რამდენიმე კაცმა მოვიწვიეთ კერძო კრება ქუთაისის ვაჭრების საურთიერთო ბანკში სწორეთ იმ დღეებში მთავრობა აპირებდა გერმანელებისგან ჩამორთმულ ჭიათურის ქონების გაყიდვას და ჩვენც ვჩქარობდით საშუალების გამოძებნას გამოვძებნოთ და კიდეც. უმეტესი ნაწილი მოწვეულ ვაჭრებისა სრულებით არ იცნობდა ჭიათურის შავიქვის და მისი ადგილების ღირსებას და ღირებულობისა, მაგრამ როცა გაეცნო და შეიტყო რომ ჭიათურის შავი ქვის, ბაჯაღლო ოქროა ისიც ისეთ (კასაში შენახული, რომ იმას. არც, ცეცხლი „დასწვავს და არც“ მოდიდან გამოვა, მაშინ ძალიან გულმოდგინეთ მოეკიდენ და ყველამ, ვაჭარმა და არა ვაჭარმა და ვის შეძლების დაგვარათ დიდ ფულზე მოაწერეს ხელი, აქციებათ შემოსატანათ. ხომ ისეთი ქართველებიც გამოჩნდენ, რომელთაც სამსამ ოთხ-ოთხ მილიონებით შემოტანის სურვილი აღეძრათ ესეც იმ დროს როცა ხალხში დღევანდელის მეათედი ფული არ მოიძებნებოდა მე მჯერა რომ. ეხლა ამისთანა საქმისთვის ფულის შოვნა სრულიად არ გაგვიჭირდება ფული ბევრია, თუ კაცი არ იქნა ძვირი; ჩვენდა სასიქადულოთ, არარის დღეს ჩვენში ძვირი, თუ „ჩვენბურათ, ძველებურათ“ განზე არ გაუდგებით საქმეს, ვიზრუნებთ მისთვის და არა პირადი ინტერესებისთვის

წერილის თავში მოგახსენეთ, რომ მომავალი მეცხრამეტე კრება წინა კრებებს არა გავს მეთქი მართლაც ასეა. დღეს ყველაფრის შეცვლა, გასწორება შეიძლება; რაც უვარგისია მისი უკუგდება, რაც სასარგებლოა—მისი შეტანა. წარსულ წლებში, სათავად-აზნაურო ბანკის კრებაზე ერთმა წევრმა მოითხოვა, რომ ბანკს ნება მისცემოდა შავქვიან ადგილების დაგირავებისა; ამის წინააღმდეგი გახდენ თვით შავქვიან ადგილების მეპატრონეები, უკანასკნელთა რიცხვში იყვენ ისეთი პირებიც, რომელთა წინააღმდეგობას ამ კითხვაში მე სრულებით არ ველოდი. რომ ქვეყნის სასარგებლოც არ ყოფილიყო, მათთვის პირადათ მაინც დიდი სასარგებლო იყო. ამის და მიხედვით მათ დიდი პროტესტი განაცხადეს და ამტკიცებდენ, რომ ბანკი დაიღუპებაო. მე მგონია, რომ ამ ორი სამი პირის წინააღმდეგობა გამოიწვია მათთმა დაუკვირებლობამ. მე მაშინვე საკმაოთ განვმარტე და აუხსენი საზოგადოებას ეს აუცილებელი საჭიროება. მაგრამ კრებამ წინადადება არ მიიღო ეხლა ვიმეორებ, რომ აუცილებელი საჭირო ხსენებულ საადგილ-მამულო ბანკი ჭიათურის შავიქვის საქმეში ჩავრიოთ. და ბანკის წესდებაში ჭიათურის შავიქვა იყოს შეტანილ, რომ მარტო ადგილების დაგირავება კი არა, სხვა მადეული ადგილების დაგირავება შეძლოს ხსენებულ ბანკს. ეგ ბანკი, სრული უფლებით და შეძლებით აღჭურვილი, ჩვენ უნდა დაუკავშიროთ ყველა სამრეწველო დარგისა ადგილებს და საქმეს, რომ იმავედროს გამყიდველ და კრედიტების მიმცემ-გამომრთმევ სახლებათ იწოდებოდენ საზღვარგარეთ და საზღვარს შიგნით მეტი და ფართო წარმოებისთვის, რომელიც აუცილებელი საჭიროა ქართველთა არსებობისთვის. დღეს მკვიდრს და საფუძვლიან ჩვენი მხრის ბურჯათ მიმაჩნია: აქ ჭიათურის მარგანეცი. ბ) საადგილმამულო ბანკი. გ.) წერაკითხვის გაავრც. საზოგადოება· ყველა ამათ ყოველი ქართველი ერთგულათ და სიფრთხილით უნდა ეკიდებოდეს, ეს დაწესებულებები უნდა იდგნენ გარეშე ყოველი პარტიულ და კერძო ინტერესისა როგორც კუთვნილება მთელი ერისა.

**ვლადიმერ წერეთელი.**

# ღია წერილი.

„გოლოს სოლდატას“ თანამშრომელს ნ. ჩირბილაძეს.

თქვენ უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ ქუთაისის წმინდა ნინოს საქალებო სასწავლებლის ინსპექტორის ბ-ნ კონსტანტინე ბიძინას ძის გაბარაევის დიდიხნის მეცადინეობა ხსენებულ სასწავლებელში მშობელთა წრის დაარსების შესახებ ჯერ ისევ ძველი რეჟიმის დროსაც კი, მისგან ყოვლად დამოუკიდებელ მიზეზისა გამო, მხოლოდ ამ დღეებში განხორციელდა. ამ სასწავლებელში უკვე დაარსდა „მშობელთა წრე“, რომლის თავმჯდომარედაც პატივი მცეს და ამომირჩიეს მე. (10 ოქტომბერს).

მაშასადამე, როგორც თავმჯდომარე „მშობელთა წრისა“ და მასწავლებლად ნამყოფი წმ. ნინოს სასწავლებელში, გიცხადებთ, რომ თქვენი გამოლაშქრება ბ-ნ გაბარაშვილის წინააღმდეგ მტკნარი ცილისწამებაა თქვენ ალბად ვიღაცას შეუცდენიხართ, ან ბოროტად დაუჯერებიხართ.

გთხოვთ დაუკვირდეთ თქვენს გამოსვლებს ბ-ნ გაბარაშვილის შესახებ, მობრძანდეთ ჩემთან (ან მე თვითონ გიახლებით) და დაწვრილებით გაგაცნობთ საქმის ვითარებას...

თქვენი წერილები კი დაუმსახურებლად ჩირქს სცხებენ ისეთს კაცს, რომელმაც პირველმა შემოიტანა ახალი სული და რომელსაც სურს კიდეც ემსახუროს ახალი სკოლის საქმეს.

მე თვითონ ამ დღეებში ვაპირებ ვრცელი წერილების დაწერას წმ. ნინოს სასწავლებლის წარსულისა და აწმყოს შესახებ და დაგარწმუნებთ, რომ თქვენ სცდებით...

კარგს ინებებდით, ბ-ნო ნიკო, თუ თქვენი გამოსვლების წინ მეც დამეკითხებოდით, როგორც თქვენს კარგ ნაცნობს და კალმის აზხანაგს.

**ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის საქალებო სასწავლებლის ,,მშობელთა წრის“** თავმჯდომარე **ია ეკალაძე-ცინცაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. კვირკელია.

# რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 | წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 49 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 | „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 | „ |
| „ | — დილის — | 10 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. | „ |
| | დილის — | 9 ს. 10 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 8 ს. 25 | „ |
| „ | ღამის — | 10 ს. 20 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | 7 ს. 1 | „ |
| „ | — დღით — | 1 ს. 40 | „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 | წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 | „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 | „ |

ექიმები

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.

**ნიკოლოზ საბაევის** ბაღში ბათუმის მახლობლათ ისყიდება საუკეთესო ხარისხის ერთ წლოვანი და სამნახევარ წლოვანი

მანდარინის ნერგები.

რომელიც ამა შემოდგომაზე დარგული უკანასკნელი მომავალი წლისთვის მისცემს ნაყოფს. აქვე ისყიდება **ლიმონის** და **ფორთოკლის** ნერგებიც. მისამართი: ბათუმში საბაევის მაღაზიაში.

სტამბა „ქამბა“ [illegible] ქუჩა [illegible] სახლი, ქუთაისში